დანართი №2

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

მშენებლობის ნებართვო მოწმობა № 5/090

ნებართვის გაცემის თარიღი „11" 04 2007 წ.
მშენებლობის დაწყების თარიღი „15" აპრილი 2007 წ.
ნებართვა ძალაშია „5" აპრილი 2010 წ.

დამკვეთი მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძის და თ. ქართველიშვილი
(დასახელება)

ქ. თბილისი საგარეჯოს ქ. №15, ვარკეთილის მე-3 მ.რ. კორპ. №17
(მისამართი)

მშენებლობის ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ.თბილისში,გლდანი-ნაძალადევის რ-ნში,გლდანის IმR,კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ
(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№1/11/12/15/76, №1/11/12/15/56
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია: ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №89/24
(შეთანხმებული ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა: ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)
მიერ

ბრძანება № 20/83 2007წ.

ნებართვაზე ხელმოწერის უფლებამოსილი პირი: მ. მახათაძე
(სახელი, გვარი)
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
(თანამდებობა)

ბ. ა.

სანებართვო პირობები:

ნებართვა გაცემულია მშენებლობის ნებართვის გაცემის და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე. წინამდებარე მშენებლობის ნებართვა შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის. თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის სარაჯიშვილის გამზ. №1ა) 1 თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №6/290

„11" 04 2007 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანი ნაძალადევის რ-ნში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძის და თ. ქართველიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

საფუძველი: - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკები (სარეგისტრაციო №27324/06, 19.05.06, №48410/05, 21.09.05, საკადასტრო №1/11/12/15/76, №1/11/12/15/56)

- ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება „05" თებერვალი" 2007 წლის №20/83 პროექტის შეთანხმების შესახებ.

მიწის ნაკვეთის ფართი:	- 6 178.0 მ2
მიშენების ფართი:	- 3 274.0 მ2
საერთო ფართი:	- 27 855.0 მ2
მათ შორის:	
ბინების ფართი:	- 11 684.0 მ2
კომერციული ფართი:	- 3 852.0 მ2
მანსარდის ფართი:	- 974.0 მ2
სადარბაზოების ფართი:	- 2 912.0 მ2
საზაფხულო ფართი:	- 2 333.0 მ2
ავტოფარეხის ფართი:	- 6 100.0 მ2
სამშენებლო მოცულობა:	- 84 333.0 $м^2$

270508

- თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების მე-16 მუხლისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს : ქ. თბილისში, გლდანი ნაძალადევის რ-ნში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძის და თ ქართველიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2007 წლის 5 აპრილიდან 2010 წლის 5 აპრილამდე.
3. მშენებლობის ეტაპები:
   - დაკვალვა „15„აპრილი„ 2007წ.
   - ფუძის მოწყობა „4„ივლისი„ 2007წ.
   - ნულოვანი ციკლის დასრულება „5„ნოემბერი„ 2007წ.
   - გადახურვის მოწყობა „5„თებერვალი„ 2010წ.
   - ხუთ სართულს ზევით შენობებისათვის დამატებით-ყოველი მე-5 სართულის დასრულება:
     I–V სართული – „5„ივნისი„ 2008წ.
     VI–X სართული – „5„იანვარი„ 2008წ.
     XI–XV სართული – „6„ივლისი„ 2009წ.
     XVI–XVII სართული – „6„ოქტომბერი„ 2009წ.
   - სამშენებლო სამუშაოების დასრულება „5„აპრილი„ 2010წ.
4. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნეს ექსპლუატაციაში.

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის. თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი-
შემსრ. თ. მენაბდე

მ. მახათაძე

№3რ/1251
30.10.06წ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20/83

ქ. თბილისი

„31" 01 2006წ.

შინაარსი: ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძის და თ. ქართველიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

დამკვეთი – ზ. ზაქაიძე, თ. ქართველიშვილი.
საპროექტო ორგანიზაცია – შპს „მშენალმდგენა".
ავტორი – ე. მურღულია.

საფუძველი: - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკები (სარეგისტრაციო №27324/06, 19.05.06, №48410/05, 21.09.05, საკადასტრო №1/11/12/15/76, №1/11/12/15/56); - ქალაქთმშენებლობითი პირობები №ზ-1/19, 05.09.06.

მიწის ნაკვეთის ფართი – 6 178.0 $მ^2$
მოშენების ფართი – 3 274.0 $მ^2$
შენობის საერთო ფართი – 27 855.0 $მ^2$
მათ შორის:
- ბინების ფართი – 11 684.0 $მ^2$
- მანსარდების ფართი – 974.0 $მ^2$
- საზაფხულო ფართი – 2 333.0 $მ^2$
- კომერციული ფართი – 3 852.0 $მ^2$
- სადარბაზოების ფართი – 2 912.0 $მ^2$
- ავტოსადგომების ფართი – 6 100.0 $მ^2$
შიდა ეზოს ფართი – 485.0 $მ^2$
სამშენებლო მოცულობა – 84 333.0 $მ^3$
მათ შორის:
± 0.00 ზევით – 66 133.0 $მ^3$
± 0.00 ქვევით – 18 300.0 $მ^3$

თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახური

27.05.08

შეთანხმდეს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძის და თ. ქართველიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნეს ექსპლუატაციაში.

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ხარაჯიშვილის ქ. №P) 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის მ.შ. - მ. მახათაძე

შემსრ: თ. მენაბდე

ქ. თბილისის მერიის
ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 253

ქ. თბილისი 21 04 2008წ.

შპს-ს „ადია“ დირექტორის ბატონ ზვიად ზაქაიძის
13.03.08 წლის №07/15718-13 განცხადების
საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 05.02.07 წლის №20/83 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანი I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, მოქ. ზ. ზაქაიძისა და თ. ქართველიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო 2007 წლის 11 აპრილს გაიცა №6/290 მშენებლობის ნებართვა და №6/290-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2008 წლის 13 აპრილს №07/15718-13 განცხადებით მოგვმართა შპს-ს „ადია“ დირექტორმა და მიუთითა, რომ აღნიშნულმა მიწის ნაკვეთებმა განიცადეს გამიჯვნები და კორექტირებები, ასევე მესაკუთრეთა ცვლილებები. კერძოდ, დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობით შეადგენს 4943 კვ.მ და მისი მესაკუთრეა შპს „ადია“. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით განმცხადებელმა მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებში ცვლილებების შეტანა. ზ. ზაქაიძის მიერ წარმოდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაცია №882008002920 – 09/01/08) და 21.11.07 წ. №1-9050 ადმინისტრაციული აქტი საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით უძრავი ქონების გადაცემის შესახებ შეკრულება. აღნიშნული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ქ. თბილისში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ ნაკვ. №15/90 ფართით 4943 კვ.მ. წარმოადგენს შპს-ს „ადია“ საკუთრებას.

სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი მასალები და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 და 63-ე მუხლებისა

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაკმაყოფილდეს განმცადებლის – შპს-ს „ადია“ დირექტორის ზ. ზაქაიძის განცხადება;
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.02.07 წ. №20/83 პროექტის შეთანხმების ბრძანებაში, 11.04.07 წ. №6/290 მშენებლობის ნებართვაში და ნ/290-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
   - მიწის ნაკვეთის ფართი ნაცვლად 6 178 კვ.მ-სა დაფიქსირდეს – 4943.00 კვ.მ

- დამკვეთად მოქ. მოქ. ზ. ზაქაიძისა და თ. ქართველიშვილის ნაცვლად მიეთითოს – შპს „ადია“;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.02.07 წ. №20/83 პროექტის შეთანხმების ბრძანებასთან, 11.04.07 წ. №6/290 შენებლობის ნებართვასთან და 6/290-1 შენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. სარაჯიშვილის გამზ. №1ა) ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი: მ. ავალიანი

შემსრულებელი:
ნ. სამონიშვილი

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
28.02.2013	26.02.2013

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	გოჩა ჯაიანი 01008006027
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1111159
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მერთან (მისამართი: თბილისი, ჟ.შარტავას №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1111159

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობით მოთხოვნა და მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. ,,ადია"-ს (ს/კ: 204541683) გამოიყენოს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: 01.11.12.015.112, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17. 19.830. დადგენილება, “ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2011წლის 16 თებერვლის №03.30.99 დადგენილება